პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 ივნისი, კვირა, 1986 წელი
№№ 105, 106 (9196-97) ⊙ ფასი 6 კაპ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები, ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ეს გრანდიოზული კომპლექსური სპორტული ასპარეზობა, მხოლოდ საუკეთესო სპორტსმენთა გამოვლენას როდი ისახავს მიზნად, იგი აჯამებს და შეფასებას აძლევს საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში დანერგილი ხიბლებისა და წინსვლის შედეგებსაც. ასეთია ტრადიცია.

როგორ ჩაიარა წლევანდელი სპარტაკიადისათვის ჩვენი სპორტსმენების მზადებამ, როგორ აირეკლა მასში ბოლო წლებში რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტულ შუშაობაში მომხდარი ცვლილებები, რა პრობლემებია გადასაჭრელი სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობების დაწყებამდე დარჩენილ პერიოდში, რისი იმედით მივემგზავრებით და რას მოველით სპარტაკიადიდან? ამ საკითხებს განხილვას მიეძღვნა თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

თათბირზე ითქვა, რომ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის შემდგომი აღმავლობისათვის ზრუნვის კვალდაკვალ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე ცალკეულმა სამინისტროებმა და უწყებებმა ბევრი რამ გააკეთეს, რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის უკეთ მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების დროულად მოსაგვარებლად. მთელ მუშაობას კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან საგანგებოდ შექმნილი სპარტაკიადისათვის მზადების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო კომიტეტი.

იმის შესახებ თუ როგორ მოემზადნენ სპორტის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდები და როგორია მათი სასპარტაკიადო გეგმები, თათბირზე ინფორმაციით გამოვიდნენ სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. შუბლაძე, თავმჯდომარის მოადგილეები შ. ქველიაშვილი და ა. მეტრეველი, საქართველოს დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თ. ჩხაიძე. ნაკრები გუნდების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფისა და სპორტსმენებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ ისაუბრეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის მინისტრმა გ. ლეუავამ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. გიორგაძემ.

განსახილველ საკითხზე მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სპორტისა და ტურიზმის სექტორის გამგის რ. აიწურაძის თანამოხსენება.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

„ჭადრაკის ოსკარის“ მისაღებად

გუშინ „ლელოს“ კორესპონდენტი მოსკოვში სასტუმრო „სპორტში“ ტელეფონით ესაუბრა სამგზის მსოფლიო ჩემპიონს, დიდოსტატ მაია ჩიბურდანიძეს.

1 ივნისს, დილით, ესპანეთში მივემგზავრები მეორე „ჭადრაკის ოსკარის“ მისაღებად. იგი 1985 წელს მიღწეული შედეგებისთვის მომენიჭა, — თქვა მაიამ.— უნდა ჩავიდე ქალაქ ბარსელონაში, სადაც ამ ჯილდოს დამაარსებლის — საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის შტაბ-ბინაა. გარი კასპაროვიც იქ ჩამოვა.

თბილისში 10 ივნისისთვის დავბრუნდები.

ვინ იქნება პირველი?

ვანი, 31 მაისი (ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.). ვახტანგ ქარხელაძის VII მემორიალის მონაწილეებმა XI და XII ტურების შეხვედრები გამართეს.

XI ტურში სტურუამ მოუგო თორიას, ბალათუროვმა — ეფიმოვს, აგაპოვმა — ჭიპაშვილს. ყაიმით აღინიშნა გურგენიძე — ანიკაევის, ჯანჯღავა — ასაევის და გიორგაძე ჰუსეინოვის შეხვედრები. იაელიან — გუფელდის პარტია გადაიდო. აზმაიფარაშვილს გურიელთან პარტიაში მოგება ჩაეთვალა. საქმე ისაა, რომ გურიელი ბულგარეთში, ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად უნდა გამგზავრებულიყო და ამიტომ მან რამდენიმე პარტია წინასწარ ჩაატარა, მაგრამ აზმაიფარაშვილთან ვეღარ მოასწრო თამაში.

XII ტურში აგაპოვმა დაამარცხა თორია, ბალათუროვმა — ჭიპაშვილი. დაზავდნენ ჰუსეინოვი და სტურუა, ანიკაევი და ჯანჯღავა, გუფელდი და გურგენიძე, ეფიმოვი და აზმაიფარაშვილი, გურიელი და იაელიანი. ასაევი — გიორგაძის პარტია გადაიდო.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ ზურაბ სტურუა — 8,5 ქულა, გია გიორგაძე — 8 (1), ზურაბ აზმაიფარაშვილი — 7,5 (3).

დღეს ბოლო აკორდია

სამტრედია, 31 მაისი (ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 42-ე ჩემპიონატის ბოლოსწინა, XVI ტურში ქეთევან მელაშვილმა მოუგო ხუგაშვილს, ქასოშვილმა — თანდაშვილს, ფინიაშვილმა — კახაბრიშვილს, ჩხაიძემ — მესხს, წერეთელმა — მახარაძეს, ლაგვილავამ — ფეჰლევანოვას. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ნიკოლაძე — ალიხანაშვილი, ტერელაძე — კურცხალია. ნინო მელაშვილისა და კახიანის პარტია გადაიდო.

16 ტურის შემდეგ ქეთევან მელაშვილს 11,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, სოფიკო ტერელაძეს — 10,5 (1), მზია წერეთელს, ციალა ქასოშვილს — 10-10 (1-1), ჰენრიეტა ლაგვილავას— 9,5 (2).

1 ივნისს გაიმართება ჩემპიონატის დასკვნითი, XVII ტურის შეხვედრები.

ბიბლიოთეკა

ცნობები გუგოინოდან

იუგოსლავიის ქალაქ ბუგოინოში მიმდინარეობს 8 დიდოსტატის ორწრიანი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

III ტურში მაილი დაუზავდა სოკოლოვს, სპასკი — პორტიშს, კარპოვი — ტიმანს. ლიუბოევიჩმა მოუგო იუსუპოვს.

IV ტურში ლიუბოევიჩმა დაამარცხა ტიმანი, სოკოლოვმა — კარპოვი. ყაიმზე შეთანხმდნენ მაილსი და სპასკი, პორტიშ — იუსუპოვის პარტია გადაიდო.

კარპოვმა შავებით უხეიროდ გათამაშა ესპანური პარტია და სოკოლოვი ინიციატივას დაეუფლა. შემდეგ სოკოლოვმა სერიოზული შეცდომა შექმნა მეფის ფრთაზე და 43-ე სვლაზე გაიმარჯვა.

4 ტურის შემდეგ ლიუბომირ ლიუბოევიჩს (იუგოსლავია), ენტონი მაილსს (ინგლისი) — 2,5-2,5 ქულა აქვთ, ბორის სპასკის (საფრანგეთი) — 2, ანდრეი სოკოლოვს (სსრ კავშირი) — 1,5 (2), ლაიოშ პორტიშს (უნგრეთი) — 1 (2), ანატოლი კარპოვს — 1 (1), იან ტიმანს (ჰოლანდია) — 0,5 (2), არტურ იუსუპოვს — 0 (3).

გუშინ მექიკოს „აცტეკას“ სტადიონზე გაიხსნა მსოფლიოს XIII ჩემპიონატი ფეხბურთში



MEXICO86

დღეს თამაშობენ:

საფრანგეთი — კანადა (ლეონში); **ბრაზილია — ესპანეთი** (გვადალახარაში).

ხვალ თამაშობენ:

პოლონეთი — მაროკო (მონტერეიში); **არგენტინა — სამხრეთ კორეა** (მექიკოში); **სსრ კავშირი — უნგრეთი** (ირაპუატოში).

იხ. მე-4 მე-5 გვ.

ოლიმპიელთა მატჩი

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე 30 მაისს გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ოლიმპიელმა ფეხბურთელებმა. ბურთი 41-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა გურინოვიჩმა.

ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხარინი, პანჩიკი, იანონისი, კუდინოვი, ნ. ვორობიოვი, აფანასიევი, სკლიაროვი, იაშჩენკო, ნიკიტინი (ი. სავიჩევი), გურინოვიჩი (აჰმედოვი), ა. ვორობიოვი (ჯავადოვი).



I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIV ტურის მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და ვორონეჟის „ფაკელს“ შორის, რომელიც 30 მაისს შედგა მოსკოვში, ფრედ დამთავრდა — 0:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის წინ

ბრძოლა ძნელი იქნება

„ლელოს“ 25 მაისის ნომერში გიამბეთ თუ როგორ ემზადება საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა ნაკრები საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისთვის. დღეს კი ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელ გოგონათა გუნდის მზადებაზე გთავაზობთ ინფორმაციას. დღემდე გუნდი ლენინგრადში იწყოფებოდა, სპარტაკიადისათვის მზადების ამ ბოლო ეტაპზე, ბუნებრივია, გუნდს ახლავს უფროსი მწვრთნელი გარი არუთინოვიც. ჩვენ შევხვდით საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის უფროს მწვრთნელს კალათბურთში ნოდარ გელაძეს და ვთხოვეთ პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე. აი, რა გვითხრა მან:

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში ქალთა კალათბურთი პროგრესის გზას ადგას. რაც შეეხება გოგონათა იმ გუნდს, რომელიც სპარტაკიადაზე დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას, სწორედ იმ ახალგაზრდა სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული, ვისზეც სამომავლო იმედებს ვამყარებთ. მაგალითად, გამთამაშებელი ანა ზარნაძე ან ტანმაღალი თავდამსხმელი მედეა მხეიძე, რომლის თამაშზეც ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი გუნდის წარმატებაწარუმატებლობა. სამწუხაროდ, ამ ნიჭიერ გოგონას ჯერ კიდევ აკლია სტაბილურობა.

⊙ როგორ ემზადებოდა გუნდი სპარტაკიადისათვის და როგორ გამოიყურება ახლა?

გუნდის წევრთა ერთი ნაწილი მონაწილეობდა პირველი ლიგის გუნდებს შორის გამართულ საბჭოთა კავშირის პირველობაში. იმ შეხვედრებში ახალგაზრდა სპორტსმენებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. პირველი ლიგის გუნდების ტურნირის დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მზადება დაიწყო სპარტაკიადისათვის. ჩვენმა კალათბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს ბაქოში გამართულ 1968-1969 წლებში დაბადებულ გოგონათა საკავშირო პირველობაში, სადაც მესამე ადგილი დაიკავეს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაკრებში 1967 წელს დაბადებული სულ ორი-სამი კალათბურთელია, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პირველობაში ის გუნდი მონაწილეობდა, რომელიც სპარტაკიადაზე იასპარეზებს. ამას მოჰყვა თბილისში გამართული საერთაშორისო ტურნირი უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ორი ნაკრების მონაწილეობით. ვფიქრობ, ქართველი კალათბურთელებისთვის ეს შეჯიბრება მეტად მნიშვნელოვანი იყო. სწორედ იმ დროს ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდა ესტონეთის ნაკრები, რომელმაც რამდენიმე ამხანაგური მატჩი ვამართა საქართველოს გუნდთან. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა ლენინგრადში, სადაც რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა და დღეს მინსკში გაემგზავრა.

⊙ რას გვეტყვით მომავალი ტურნირისა და ჩვენი გუნდის მეტოქეთა შესახებ?

— მოგეხსენებათ, სპარტაკიადაზე დაიშვებიან 1966 წელს და უფრო გვიან დაბადებული კალათბურთელები. სამწუხაროდ, ჩვენ 1966 წელს დაბადებული ერთი მოთამაშეც არა გვყავს. ასე რომ, ჩვენი გუნდი ყველაზე ახალგაზრდული იქნება.

ჯგუფში, რომელშიც საქართველოს ნაკრები მოხვდა, ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი. ესენი არიან ლიტვის, ბელორუსიისა და უკრაინის ოლქების, ბელორუსიისა და ყირგიზეთის კოლექტივები. მოსწავლეთა ბოლო სპარტაკიადაზე, სადაც სწორედ სასპარტაკიადო ასაკის კალათბურთელები გამოდიოდნენ, ამ გუნდებმა პირველი სამი ადგილი დაიკავეს. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ტურნირი მინსკში გაიმართება, სჯობს ვაღიაროთ: ბელორუსიის გუნდთან გამარჯვებაზე ფიქრი მეტისმეტი სითამამე იქნება, თუმცა არც სხვებთან მოგველის იოლი თამაშები. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ასპარეზობა, გვჯერა, რომ ჩვენი გოგონები თავს არ შეირცხვენენ.

⊙ მაინც რა მიზანს ისახავს ნაკრები სპარტაკიადაზე?

— ამ სპარტაკიადაზე იქნება ერთი სიახლე. მონაწილენი გაითამაშებენ მხოლოდ პირველ რვა ადგილს. ესე იგი, ვინც რვა უძლიერესს შორის ვერ მოხვდება, ბრძოლას გამოეთიშება, ფინალისტები კი კიევში დასრულებენ ასპარეზობას. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენს ჯგუფში ძლიერი გუნდები არიან და მათთან ბრძოლა ძნელი იქნება.

ობიექტურად, ჩვენს გუნდს ფინალში გასვლის მხოლოდ თეორიული შანსები აქვს. როცა ჯგუფში ისეთი მეტოქეები გვყავს, რომელთაგან ყველას შეუძლია საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პრიზიორთა სამეულში მოხვდეს, პროგნოზების გაკეთებისას მეტი სიფრთხილე გვმართებს.

ესაუბრა ჯურაბ ინასარიძე.

ყველა ადგილი

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს კალათბურთელ ქალთა გუნდის შედეგები აშკარად ჩამორჩება ვაჟთა მაჩვენებლებს, თუმცა სამჯერ იგი პრიზიორთა ექვსეულში მოხვდა. 1956 წლის სპარტაკიადაში ჩვენს კალათბურთელებს V ადგილი ჰქონდათ. სამი წლის შემდეგ მათ ეს წარმატება გაიმეორეს. 1971 წელს კი (V სპარტაკიადა) VI ადგილი დაიკავეს.

ყველაზე სუსტად რესპუბლიკის ნაკრებმა 1979 წელს, VII სპარტაკიადაში იასპარეზა, როცა XIV ადგილი დაიკავა.

ვნახოთ როგორ გამოიყურება სპარტაკიადის პრიზიორთა სია და საქართველოს ქალთა გუნდის შედეგები წლების მიხედვით:

1956 წ. I სპარტაკიადა. 1. მოსკოვი, 2. ლატვია, 3. ლენინგრადი... 5. საქართველო.

1959 წ. II სპარტაკიადა. 1. მოსკოვი, 2. ესტონეთი, 3. ლენინგრადი... 5. საქართველო.

1963 წ. III სპარტაკიადა. 1. ლატვია, 2. ლენინგრადი, 3. მოსკოვი... 13. საქართველო.

1967 წ. IV სპარტაკიადა. 1. ლატვია, 2. მოსკოვი, 3. რსფსრ... 10. საქართველო.

1971 წ. V სპარტაკიადა. 1. ლატვია, 2. რსფსრ, 3. უკრაინა... 6. საქართველო.

1975 წ. VI სპარტაკიადა. 1. ლიტვა, 2. რსფსრ, 3. ლენინგრადი... 13. საქართველო.

1979 წ. VII სპარტაკიადა. 1. ლატვია, 2. ლიტვა, 3. რსფსრ... 14. საქართველო.

1983 წ. VIII სპარტაკიადა. 1. ლატვია, 2. ლენინგრადი, 3. ბელორუსია... 13. საქართველო.

ოსტატობის კარიბჭესთან

ჭიდაობა უფროსებთანაც შეიძლება

მოსკოვში დამთავრდა 1969-1971 წლებში დაბადებულ სამბისტთა ხაკავშირო ტურნირი, რომელშიც 25 გუნდის 240-მდე ვაბუკი ათლეტი მონაწილეობდა. სპორტსმენთა სიმრავლის გამო შეხვედრები ერთდროულად ცხრა ლეიბზე ტარდებოდა.

საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები ამ შეჯიბრებაში მხოლოდ 1971 წელს დაბადებული სამბისტებით იყო დაკომპლექტებული, ამ ასაკის სპორტსმენებს გაისად მოსწავლეთა სპარტაკიადაში მოუხდებათ ასპარეზობა, ამდენად ჩვენი გუნდის მწვრთნელთა გადაწყვეტილება ზედმიწევნით სწორი გახლდათ, რადგან რეზერვის შემოწმება სწორედ ასეთ პირობებშია საინტერესო. ბიჭებს ბრძოლა მეტწილად ასაკოვან მეტოქეებთან უხდებოდათ, დიახ, მწვრთნელებმა გუნდის შესაძლებლობანი აშკარად გართულებულ ვითარებაში გამოსცადეს.

პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის ნაკრებმა, რომელიც მთლიანად „სამმო 70“-ის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. მეორე ადგილზე საქართველოს ნორჩი სამბისტები გავიდნენ, მესამე ადგილი რიაზანის გუნდს ხვდა წილად.

საქართველოს ათლეტთა წარმატება ყურადღებას იქცევს თუნდაც იმიტომ, რომ შეჯიბრებაში ერთი სპორტის ოსტატი და 45 ოსტატობის კანდიდატი გამოდიოდა. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში, თბილისს, სოხუმსა და რუსთავს სამ-სამი მოჭიდავე ჰყავდათ, ფოთი კი ორი სამბისტით იყო წარმოდგენილი. მწვრთნელებიც ამ ქალაქებიდან შეარჩიეს: უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ არაბული, მწვრთნელები — ზურაბ ტუღუში (ფოთი), ვლადიმერ კუვიჩკო (სოხუმი) და ფრიდონ ჩიტაშვილი (თელავი).

პირად ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლებმა ორი პირველი და სამი მეორე ადგილი დაისაკუთრეს. ჩემპიონები გახდნენ: მურთაზ თურქია (45 კგ, ფოთი) და ლეონარდო აგუხავა (65 კგ, სოხუმი), მეორე ადგილებზე გავიდნენ: რობერტ ნავოიანი (60 კგ, სოხუმი), ალექსანდრე თანდიაშვილი (65 კგ, თბილისი) და ვეფხია ავალიანი (87 კგ, რუსთავი).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს თენგიზ არაბულს მცირე კომენტარი ვთხოვეთ: „შეჯიბრების შედეგით ძირითადად კმაყოფილი ვართ. იქნებ ბიჭებს ცოტა გაუჭირდათ კიდეც უფროსებთან შებრძოლება, მაგრამ ვფიქრობთ სწორად მოვიქეცით, ასეთ ექსპერიმენტზე რომ წავედით. პრიზიორებმა კარგად იჭიდავეს, განსაკუთრებით მომეწონა რუსთაველი ვეფხია ავალიანი. მან ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო, თუმცა ფინალში დაიღალა და ასაკით უფროს მეტოქესთან ბრძოლა უმნიშვნელო სხვაობით დათმო.

ლასტის ბრალი

მღვრიე წყალში...

ჩვენს გვერდით კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც ერთთავად მხოლოდ იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ ცხოვრებას და მეტი მოიხვეჭონ. არაშრომითი შემოსავლისათვის ისინი ყველაფერს კადრულობენ. ოღონდ საიდანმე ფული გამოდნეს, ოღონდ როგორმე ყინი დაიკმაყოფილონ და ამისათვის ო

ლად ელევიან ადამიანურ ღირსებებსაც კი.

ტრესტ „საქსპორტმშენის“ № 5 სპეციალიზებულ სამშენებლო-სარემონტო უბანს დიდი ხნის ისტორია არა აქვს. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, მის ხელმძღვანელობას ჰქონდა მიღებული საკმაო გამოცდილება და... „საჭირო კაცი“ დიდხანს არ უძებნიათ. ყველაფერი სასწრაფოდ მოხდა — 1983 წლის 1 მარტს სამუშაოდ მიიღეს ვინმე ვ. მიხელაშვილი, რომელიც IV თანრიგის ზეინკლის შტატში გააფორმეს. წაყრუებისა და უპასუხისმგებლობის ატმოსფეროში, რაც ამ ორგანიზაციაში სუფევს, არავინ დაინტერესებულა მიხელაშვილის წარსულით (იგი ნასამართლევი იყო).

ცხადია, მიხელაშვილს ზეინკლად არ უმუშავნია და არც აპირებდა მუშაობას — უფროსებთან გარიგება სულ სხვა რამეს ითვალისწინებდა. რას მიქვია ზეინკლობა, მიხელაშვილი ფაქტიურად ასრულებდა მომმარაგებლის ფუნქციას, ეს იყო მთავარი. რით ამარაგებდა და ვის ამარაგებდა? პირველ ყოვლისა, ცხადია, სამშენებლო მასალებით მშენებარე ობიექტებს, „დანაზოგით“ კი... მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, ახლა მიხელაშვილი სიხსლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული და ყველაფერთან ერთად ძიება უკეთ დაადგენს ვის რით ამარაგებდა მიხელაშვილი.

ამ ფაქტში გასაოცარი ბევრი რამ არის. ჯერ ერთი, ვის რაში დასჭირდა მიხელაშვილის, ამჟამად სიხსლის სამართლის დამნაშავის, ფიქტიურად მუშად გაფორმება და ფაქტიურად მისთვის მატერიალური ფასეულობის განმგებლად დანიშვნა? ასეთი მუშაკიც ხომ საჭიროაო — შემოგვედავებიან მიხელაშვილის მფარველები. კი ბატონო, საჭიროა და არის კიდეც თქვენს ხელმძღვანელ ორგანიზაციაში ასეთი შტატი. ის კი, ვინც ამ შტატშია, ვალდებული იყო მოგმსახურებოდათ, თქვენ ეს ხელს არ გაძლევდათ, საკუთარი მომმარაგებელი მოიხურვეთ და მიაღწიეთ კიდეც საწადელს. როგორ ფიქრობთ, თქვენს უბანს შტატით მომმარაგებელი ეკუთვნოდა და არ გაითვალისწინეს? არა, არ ეკუთვნოდა და ეს თქვენ კარგად იცოდით.

განა გასაოცარზე მეტი არ არის ის, რომ ხელმძღვანელების წაყრუებით მიხელაშვილი თვითნებობდა, „საქმის გამჩარხავი“ კაცი ისე იქცეოდა, გეგონებოდათ ის იყო თავკაცი, უბნის უფროსი ა. ფანქველაშვილი, სამუშაოთა მწარმოებლები რ. სილაგაძე და დ. ნაიროვი კი მისი ხელქვეითები. ამ სამეულს სხვისგან არ ეხსენებოდა, ვინ იყო მიხელაშვილი, რისთვის „აკურთხეს“ მომმარაგებლად და რატომ უხდიდნენ შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევით ხელფასს, როგორც ზეინკალს (თანაც, აქოდა „ბევრს მუშაობს“ და „მუყაითი ზეინკალიაო“, ხანდახან თვეში 400 მანეთსაც კი უწერდნენ).

როგორც შემოწმებით გამოირკვა, ამ ორგანიზაციაში, საერთოდ უკონტროლოდაა კადრებთან მუშაობა და მიხელაშვილის საქმე გამონაკლისი არ არის. მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკების პირად საქმეებში ნამდვილი ქაოსია. იქ არც დანიშვნის ბრძანებებია, არც ავტობიოგრაფია, არც კადრების აღრიცხვის ფურცელი, აღარაფერს ვამბობთ თანამდებობიდან გადაადგილების ბრძანებაზე. სხვას რაღა მოეთხოვება, როცა მთავარი ბუღალტრის ლ. გრანინას შრომის წიგნაკში არავითარი ჩანაწერი არაა. ხშირ შემთხვევაში შრომის წიგნაკში ჩანაწერი არ ემთხვევა ამ თანამდებობას, რაზედაც ფაქტობრივად მუშაობს ესა თუ ის მუშაკი. ჩუმაკოვა, მაგალითად, ბუღალტერია, შრომის წიგნაკში კი ჩაწერილია, რომ იგი არის კადრების (?!) განყოფილების უფროსი. რ. სილაგაძე სამუშაოთა მწარმოებელია და შრომის წიგნაკში მთავარი ინჟინრის მოვალეობის შემსრულებლად იწოდება. შრომის წიგნაკები საერთოდ არა აქვთ ტაბლოების წარმოების უფროსს გ. მღებრიშვილს და მეკუჭნავე გ. თურმანიძეს. აი, ასე — ყველაფერი აბურდულია, ყველაფერი არეულ-დარეულია და ხელმოშვებული. რატომ? ხომ გაგიგიათ, მღვრიე წყალში...

* * *

საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა ტრესტ „საქსპორტმშენის“ № 5 სპეციალიზებულ სამშენებლო-სარემონტო უბანში „კადრებთან მუშაობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ“.

კოლეგიამ დ. ნაიროვი გაათავისუფლა სამუშაოდან. როგორც კოლეგიაზე ითქვა, რ. სილაგაძე თანამდებობიდან მოხსნას იმსახურებს, მაგრამ ვინაიდან სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის წევრი ვ. ლომაძე სილაგაძეს პირადად უწევს რეკომენდაციას, კოლეგიამ იგი სამუშაოდან არ გაათავისუფლა და სასტიკი საყვედურის გამოცხადებით დაკმაყოფილდა. ამასთან, აღნიშნა, რომ ვ. ლომაძე პირადად აგებს პასუხს როგორც სილაგაძის შემდგომ საქმიანობაზე, ისე საწარმოში სრულ წესრიგზე. სასტიკი საყვედური გამოეცხადა ა. ფანქველაშვილსაც. „საქსპორტმშენის“ მმართველს გ. კორკოტაძეს მკაცრად მიეთითა.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

შარშან 18 ივლისს „ლელოში“ დაიბეჭდა კრიტიკული ფოტოინფორმაცია. გთავაზობთ პასუხს, რომელიც საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიონული კომიტეტიდან მივიღეთ:

„თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ მასალაში აღნიშნული ფაქტები სოფელ არუხლოს სტადიონის კეთილმოუწყობლობის შესახებ სიმართლეს შეეფერებოდა. პარტიის რაიკომში ჩატარდა საგანგებო თათბირი მეურნეობის ხელმძღვანელებთან.

სტადიონი ამჟამად მთლიანად კეთილმოწყობილია, ამჟამად აქ მეცადინეობს სოფლის ახალგაზრდობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მალე სტადიონს გასახდელი და ნაშხაპეც ექნება.

ნ. მამედოვა,
პარტიის ბოლნისის რაიკომის მდივანი.

უკაცრავად, შეგახსენებთ!

ჩვენი გაზეთის 24 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „გულგრილობა ყველგან ერთნაირია“. წერილში ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ რუსთავში მოუვლელია სპორტული ბაზები, ხოლო მოსახლეობის ფასიან მომსახურებაში დაშვებულია უხეში დარღვევები. რა ზომებია მიღებული მდგომარეობის გამოსასწორებლად? ველით პასუხს რუსთავის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან.

ბრძოლვაში
ბოლშევიკური

...ბიხარ ოდენ!“ ამას წინათ ამ რუბრიკით საგანგებოდ სპორტსმენებისთვის ...ანუთვნილი სახტუმრო „ამირანის“ აშენების ამბავი გაუწყეთ. მოვა ...ორ და ამავე რუბრიკით მკითხველებს საქართველოს სახელმწიფო სპო...ტკომიტეტის ვარკეთილის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი წარუდგება. ...ს უნიკალური სპორტული კომპლექსი მართლაც დიდი შენაძენი იქნება ...ართული სპორტისთვის და გულწრფელად გაახარებს სპორტსმენებ...ა და მათ გულშემატკივრებს. როცა მშენებლები ჩანაფიქრს ხორცს შე...ასამენ, როცა ეს კომპლექსი ქართული სპორტის სამსახურში ჩადგება, ...ას, ალბათ, ჩვენი დედაქალაქის „მცირე ოლიმპიურ სოფელს“ დაარქმე...ენ. ვფიქრობთ, სპორტის მოყვარულებს დააინტერესებთ წინასწარი ინ...ორმაცია ამ სასწავლო-საწვრთნელ ცენტრზე. გთავაზობთ საუბარს მშე...ებარე სპორტული კომპლექსის დირექტორთან, საქართველოს დამსახურ...ებულ მწვრთნელთან **გურამ მეგრელიძესთან.**



ვარკეთილში იქნება „ოლიმპიური სოფელი“

⊙ ბატონო გურამ, მკითხველებს ...ველ რიგში, ალბათ, მისამართი ...ა გაცნობოთ.

— საქართველოს სახელმწიფო ...ტკომიტეტის სასწავლო-სა...თნელი ცენტრი ვარკეთილის მე...ობა-მევენახეობის საბჭოთა მე...ნობის ძველი სპორტული კო...ექსის ადგილზე შენდება.

⊙ აქეთ მგზავრობისას ტაქსის ...ოლმა სინანულით ჩაილაპარაკა: ...ადრე ჩვენი სპორტსმენები ხში...ად აწყობდნენ შეკრებებს, ამ ბო...ა დროს კი აქაურობა ყველას მი...წყდა.

— მართალი უთქვამს იმ კაცს. ...ეთილში მართლაც ბევრი ჩვენი ...ადი მომზადებულა დიდი შეჯიბ...ებისთვის. საქართველოს ნაკრებ...ებს კალათბურთსა და ჩოგ...თში აქ საბჭოთა კავშირის ხა...ა სპარტაკიადისწინა შეკრებებ...მოწყვეთად, მაგრამ ბოლო წლე...ი აქაურობას აშკარად მოაკლდა ...ადღება და, ბუნებრივია, ბა...ი. „ბარგი ქმედების კოეფიცი...ენტმა“ იკლო. შარშან საქართველ...ს სპორტკომიტეტის ხელმძღვანე...ობამ „თვალი დაადგა“ ამ მტო...�ბაზას და დაისვა საკითხი ...ადგილას სპორტკომიტეტის სა...ყო-სწავრთნელი ცენტრის აშ...ების თაობაზე. საქართველოს სსრ ...ესტრთა საბჭოს განკარგულება...ვარკეთილის საბჭოთა მეურნე...ობა სპორტული კომპლექსი სპო...კომიტეტის ბალანსზე გადავიდა. ...ებლობაც შარშან დავიწყეთ.

⊙ თუ შეიძლება უფრო დაწვრი...ით გვიამბეთ ახალმშენებლო...ბ რა სპორტული ობიექტები ...ტება აქაურობას?

...ასწავლო-საწვრთნელი ცენტრის ...ება ხელს შეუწყობს საკავში...ი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები ...ების სხვადასხვა შეჯიბრებე...თვის უკეთ მომზადებას. პირ...რიგში, რა თქმა უნდა, ძველი ...ობები შეკეთდება, უფრო სწო...ი. მოხდება მათი საფუძვლიანი ...ონსტრუქცია. მაგალითად, კა...ბურთის დარბაზი რვა ფარით ...ქმის მზად არის. მერე და მერე ...ახალი ობიექტები შეემატება. ...ად ინტერიერის სამუშაოები ...ეთ 134 კაცისთვის განკუთვნილ ...ართულიან კომფორტულ სას...ო კორპუსში, რომელსაც თა...კების ბლოკი და კონფერენ...ბაზი ექნება. წელსვე ჩაიდგ...126 კვ. მეტრი ფართობის 2 კოტეჯი. შევაკეთებთ და ავამოქმედებთ 25-მეტრიან ღია საცურაო აუზს, მომავლისთვის დახურული აუზის აშენებასაც ვაპირებთ. აქვე აშენდება თანამედროვე, 50 მეტრიანი ტირი ტაკვიის მსროლელებისა და ხუთჭიდელებისათვის, აგრეთვე სარბიელი მშვილდოსნებისათვის. აიგება დარბაზების კომპლექსი მოფარიკავეების, მოკრივეების, ძალოსნების, მოჭიდავეების, აკრობატებისა და მხტვრული ტანვარჯიშის ოსტატებისათვის. გათვალისწინებულია ჩოგბურთის კორტების მოწყობაც. შეკრებაზე მყოფი სპორტსმენების განკარგულებაში იქნება სრულყოფილი სარეაბილიტაციო ცენტრი ფინური აბანოთი, წყლისა და ელექტრომასაჟის, სამედიცინო კაბინეტებით და სხვა. განახლდება და კეთილმოეწყობა სტადიონი, რომლის მძლეოსნურ სექტორებში შესაძლებელი იქნება ვარჯიში ამ სახეობის ყველა დისციპლინაში, გარდა ეროს ტყორცნისა. მოედანი კი ჩვენს რეგბისტებს, ფეხბურთელებს, ბალახის ჰოკეისტებს დაეთმობათ. გადაწყვეტილია ვარკეთილის სტადიონი საქართველოს რეგბისტთა სპეციალიზებულ საბაზო ცენტრად იქცეს.

⊙ ეს უკვე იცით ჩვენმა მკითხველებმა, ამასწინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა თბილისელ რეგბისტთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა სპორტსმენისადმი. ვარკეთილში რეგბის სპეციალიზებული მოედნის მოწყობამ ისე გაახარა წლების მანძილზე უბინაობით გაწვალებული თბილისელი რეგბისტები, რომ მათ სპორტული ბრიგადები ჩამოაყალიბეს და მხარში მოუდგნენ მშენებლებს. რესპუბლიკის ყველა სპორტსმენსაც მოუწოდეს გამოხმაურებოდნენ თაოსნობას, რათა მომავალში ათლეტთა სპორტულ ობიექტებზე შრომის ტრადიციაც დამკვიდრდეს.

— ამ მოედანზე ჩვენს რეგბისტებს, და არა მარტო მათ, ნებისმიერი რანგის მატჩის გამართვა შეეძლებათ. ვარკეთილის სპორტული ცენტრის მშენებლობაში თავიანთ წვლილს შეიტანენ მოფარიკავეთა, მოჭიდავეთა, ტანმოვარჯიშეთა და ველოსიპედისტთა სპორტულ-შრომითი ბრიგადებიც.

⊙ საინტერესოა, ველოსიპედისტები რამ დააინტერესა?

— ვარკეთილის მებაღეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ანზორ ახვლედიანმა მშენებარე ცენტრის ახლოს „აღმოაჩინა“ შესანიშნავი ადგილი 15 კილომეტრი სიგრძის ველოტრასის მოსაწყობად. ეს ადგილი გამორჩეული ბუნებრივი რელიეფით იქცევს ყურადღებას. სიმაღლეთა სხვაობა ზღვის დონიდან 650 მეტრიდან 1100 მეტრამდე აღწევს. ველოსპორტის სპეციალისტთა, კერძოდ ომარ ფხაკაძის, ავთანდილ გუნიას, მირონ ბარამიასა და კარლო შენგელიას აზრით, ვარკეთილში ისეთი საგზატკეცილო ველოტრასის მოწყობა შეიძლება, რომელიც საუკეთესო იქნება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ტრასის მშენებლობის საქმეს აქტიურად მოჰკიდა ხელი საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, კერძოდ მისმა თავმჯდომარემ, წარსულში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა ველოსპორტში, სპორტის ოსტატმა, ამჟამად რესპუბლიკის ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ ოთარ ქვილითაიამ. ტრასის პროექტს საავტომობილო გზათა სამინისტრო (მინისტრი ბორის სარალიძე) ამუშავებს. ველოსიპედისტებს 60 კაცისათვის განკუთვნილი თავიანთი სასტუმრო ექნებათ, ტრასის გასწვრივ კი ჰიმალაის კედარი და კიპარისები დაირგვება. მაღლობის მეტი რა გვეთქმის ზემოხსენებული ხელმძღვანელების მიმართ.

⊙ მთლიანად რა ფართობს მოიცავს ცენტრი?

— ველოტრასიანად, 2 ათეულამდე ჰექტარს.

⊙ ვინ დააპროექტა კომპლექსი და კიდევ ვინ გეხმარებათ ამოდენა ტერიტორიის „ათვისებაში“?

— პროექტი საქართველოს სპორტსახკომის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროში შემუშავდა. სხვებთან ერთად მხარში ამოგვიდგნენ „საქმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველო (მმართველი — გივი გამყრელიძე), „საქქაღალდხეტყის“ მომარაგება გასაღების სამმართველო (უფროსი — ბონდო ხობელავა), „თბილმშენი“ (მმართველი — გივი ქვეჭიძე), სატვირთო-ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება (გენერალური დირექტორი — გურამ გოგიჩაიშვილი), ვარკეთილის მებაღეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ანზორ ახვლედიანი), „კოლმეურნეის“ რესპუბლიკური საბჭო (თავმჯდომარე — ოთარ კალაძე). დიდი სამუშაო ელის, რა თქმა უნდა, „სპორტმშენის“ № 1 სამშენებლო-სარემონტო კანტორასაც (უფროსი — გივი ბილანიშვილი). მაღლიერების გრძნობით ვიხსენებთ ყოფილი კალათბურთელის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, ვაჭრობის სამინისტროს სამშენებლო-საწარმოო კომბინატის დირექტორს ანზორ საკანდელიძეს იმ დიდი პრაქტიკული დახმარებისათვის, რაც მან აღმოგვიჩინა. საერთოდ, ჩვენი ცნობილი სპორტსმენები — ვეტერანებიც და ახალგაზრდებიც, არ იზარებენ აქ ამოსვლას. ზურაბ საკანდელიძემ, ოთარ ქორქიამ, თეიმურაზ კაკულიამ, მორის სახვაძემ, გურამ კოსტავამ, ზურაბ პაპიძემ, ვლადიმერ აფციაურმა და სხვებმა ბევრჯერ დათვალიერეს მშენებარე ბაზა და ბევრი სასარგებლო რჩევაც მოგვცეს. აღარაფერს ვამბობ ველოსიპედისტებსა და რეგბისტებზე, რადგან მათ შესახებ უკვე მოგახსენეთ.

⊙ მაშ ჩვენი რესპუბლიკის ბევრ გუნდსა და სპორტსმენს მნიშვნელოვანი ასპარეზობებისათვის მზადების პერიოდში „ცხრა მთას იქით“ წასვლა აღარ მოუწევს.

— რა თქმა უნდა. განა ცოტა გვიჯდება ჩვენი გუნდების სხვა რესპუბლიკებში გაგზავნა, დაბინავება, საკარჯიშო სარბიელის იჯარა და სხვა. ცხადია, სახსრებიც უფრო რაციონალურად განაწილდება. რაც მთავარია, სპორტკომიტეტს ჩვენს ათლეტთა შეკრებებისა და წვრთნის პროცესის სისტემატური შემოწმების საშუალება ექნება, რაც უსათუოდ აამაღლებს მწვრთნელებისა და სპორტსმენების პასუხისმგებლობას.

⊙ საუბარს ისე ვერ დავამთავრებთ თუ კომპლექსისა და მასობრივი სპორტის მომავალ „ურთიერთობას“ არ შევეხეთ.

—არავინ იფიქროს, რომ ვარკეთილის სპორტული კომპლექსი მხოლოდ „დიდი სპორტისთვის“ შენდება. ჩემის აზრით, ნებისმიერი, თუნდაც უნიკალური სპორტული ობიექტის შემკვეთებმაც და მშენებლებმაც აუცილებლად უნდა იფიქრონ მასობრივ სპორტზე და მის პრობლემებზე. ეს ყველა სპორტისა და სპორტთან დაკავშირებული მუშაკის ვალია. რაიმე კონკრეტულ სისტემაზე ლაპარაკი ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ნაადრევია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვარკეთილის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი მასობრივ-გამჯანსაღებელი სპორტის ცენტრიც გახდება. მისი კარი მუდამ ღია იქნება მათთვის, ვისაც ჯანმრთელობის გაკაჟება სურს. ამ ადგილებში ძალიან უყვართ ჰიდაობა და საჭიდაო მოედნის მოწყობასაც ვაპირებთ. ველოსპორტის მოყვარულთათვის გავხსნით ინვენტარის გამქირავებელ პუნქტს. დღის პირველ ნახევარში ცენტრის სპორტული ობიექტები შეღავათიან ფასებში დაეთმობა რაიონის მოსახლეობას, მეურნეობის მუშებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას.

⊙ მშენებარე სპორტულ კომპლექსს საძირკვლის ჩაყრისთანავე სიკეთე დაებედა — რეგბისტების დაბინავებასა და სპორტსმენთა შრომით ტრადიციაზე მოგახსენებთ. ვიხურვოთ, რომ დროულად და ხარისხიანად დასრულებულიყოს მისი მშენებლობა.

— რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყურადღება და მზრუნველობა, მხარში მდგომთა აქტიურობა და ენთუზიაზმი გვაიმედებს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. დაველოდოთ იმ დღეს, როცა ჩვენს სპორტსმენებს კიდევ ერთ „ახალსახლობას“ მივულოცავთ.

ესაუბრა თამაზ მიგრიაული.

...ინ, საიდ, როდის?

⊙ როგორია ოლიმპიური ალამი და როდის აფრიალდა იგი პირველად?

ჯ. კურტანიძე.

...ასრიზი, 1914 წელი

...ოლიმპიური ალამია თეთრი ტილო, რომელზეც ხუთი სხვადასხვა ფე...ის (ლურჯი, ყვითელი, შავი, მწვანე და წითელი) ერთმანეთში გადაჭ...ბილი რგოლებია გამოსახული. ოლიმპიური ალამი პირველად 1914 ...ელს პარიზში ოლიმპიური თამაშების აღორძინების 20 წლისთავისადმი ...ძღვნილ ზეიმზე აღიმართა.

ს ურ ა თ ზ ე: ოლიმპიური ალამის ტრადიციული მარში მონრეალის (1976 წ.) სტადიონზე.



პირველი გასვლა საზღვარგარეთ

● იქნებ გვიპასუხოთ, რომელ წელს გავიდნენ პირველად უცხოეთში საბჭოთა საქართველოს სპორტსმენები?

ა. ბილანიშვილი.

— საქართველოს სპორტსმენთა საზღვარგარეთულ კონტაქტებს საფუძველი ჩაეყარა 1925 წელს, როცა თურქეთის ქალაქ ტრაპეზუნს ბათუმელი ფეხბურთელები და ტანმოვარჯიშეები ესტუმრნენ (მათ თან ახლდა აჭარის სასულე ორკესტრი მუსიკოს ხავთასის ხელმძღვანელობით). დელეგაციას თავკაცობდნენ აჭარის პირველი ფიზკულტურული ორგანიზაციის დამაარსებლები დათა ჯავრიშვილი და ალექსანდრე აბზიანიძე.

საქართველოს სპორტსმენთა დელეგაციის შემადგენლობაში 43 ვაჟი და 10 ქალი იყო. ფეხბურთელებმა ორი შეხვედრა ჩაატარეს. პირველი დიდი ანგარიშით (7:1) მოიგეს, მეორეში კი დამარცხდნენ (1:2). ადგილობრივი მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურა ტანმოვარჯიშეთა გამოსვლამაც.

* * *

ს ურ ა თ ზ ე: აჭარის სპორტული დელეგაციის შეხვედრა ტრაპეზუნის მთავარ მოედანზე.

სპორტული ივნისი

26.V-2VI. ტყვიის სროლა — საქართველოს IX სპარტაკიადა. სოხუმი.

27.V-4.VI. ალპინიზმი — საქართველოს პირველობა. კავკასიონი.

30.V-8.VI. რეგბი — რესპუბლიკური შეჯიბრება 1972 წელს დაბადებულ ბიჭებს შორის. ზუგდიდი.

1-15. ხელბურთი — საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის. მომოსვლით, კალენდრის მიხედვით.

2-10. მეკლდეურობა — საქართველოს პირველობა. გაგრა.

3-7. ცურვა — საქართველოს IX სპარტაკიადა. ქუთაისი.

3-8. ჩოგბურთი — საქართველოს პირველობა 1972-73 წწ დაბადებულ ბიჭებსა და გოგონებს შორის („ა" ჯგუფი). თელავი.

3-11. ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა 1968 წელს დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის („ა" ჯგუფი). ბათუმი.

4-15. შაში — საქართველოს პირველობა რუსულ შაშში 1968 წელს დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის.

5-8. მაგიდის ჩოგბურთი — რესპუბლიკური შეჯიბრება 1974 და შემდგომ წლებში დაბადებულ ბიჭებსა და გოგონებს შორის. ბათუმი.

6-8. მშდ მრავალჭიდი — საქართველოს ჩემპიონატი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პრიზზე. IV ზონა. ტყიბული.

6-12. აეროსნობა — რესპუბლიკური შეჯიბრება 1968-72 წწ. დაბადებულ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. ბათუმი.

7-9. ქართული ჭიდაობა — საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. მცხეთა.

12-15. ცურვა — საქართველოს პირველობა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით 1970-71 წწ. და 1971-72 წ.წ. დაბადებულ ბიჭებსა და გოგონებს შორის. ქუთაისი.

13-15. მშდ მრავალჭიდი — საქართველოს ჩემპიონატი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პრიზზე. V ზონა. ხობი.

13-15. მძლეოსნობა. საქართველოს IX სპარტაკიადა. თბილისი.

14-16. ქართული ჭიდაობა — საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. მცხეთა.

17-22. წყალბურთი — საქართველოს IX სპარტაკიადა. ქუთაისი.

18-22. სპორტული ტანვარჯიში — საქართველოს ჩემპიონატი მრავალჭიდში. ზუგდიდი.

20-22. მშდ მრავალჭიდი — საქართველოს ჩემპიონატი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პრიზზე. VI ზონა. გურჯაანი.

20-22. სპორტული ორიენტირება — საქართველოს ჩემპიონატი მოზრდილთა და იუნიორებსა და გოგონებს შორის. თეთრი წყარო.

21-27. რეგბი — რესპუბლიკური შეჯიბრება 1970-71 წწ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ჭიათურა.

21.VI-4.VII. ალპინიზმი — საკვალიფიკაციო ასვლები. კავკასიონი. პამირი.

27-29. მშდ მრავალჭიდი — საქართველოს ჩემპიონატი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" პრიზზე. ფინალური შეჯიბრება. ტყიბული.

21.VI-4.VII. შაში — საქართველოს ჩემპიონატი რუსულ შაშში ვაჟებსა და ქალებს შორის. მახარაძე.

27-29. ბატუტზე ხტომა — საქართველოს IX სპარტაკიადა. ქუთაისი.

29.VI-3.VII. ლელო — საქართველოს ჩემპიონატი IX სპარტაკიადის პროგრამით. ფინალი. ჩოხატაური.

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ბალავერი

„შრომითი რეზერვების" საცურაო აუზი (დირექტორი ზაურ ბენდიანიშვილი) 35 წლის წინათ აშენდა და ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაუღო ფართოდ კარი ცურვის მოყვარულებს. აუზი ერთხანს უქმად იდგა — სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, დღეს კი „ვეტერანი" კვლავ მწყობრშია.

დილიდან გვიანობამდე არ წყდება საბუმბალაოში ბავშვების ჟრიამული — აქ სწავლობენ იხინი ცურვას, თუმცა თვალი მაინც დიდი აუზისკენ უჭირავთ, რა დახამალია და ჩემპიონობაზეც ოცნებობენ.

ჯემალ კახრაძის ფოტოები.



ინფორმაცია

ნორჩი ქართველი ძიუდოისტები ტრადიციულად კარგად გამოდიან საკავშირო შეჯიბრებებში. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლებს ტურნირებში გუნდებადაც იწვევენ. ახლახან, ბაქოში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში (აქ გათამაშდა საბჭოთა კავშირის გმირის ჰუსეინ ზადეს სახელობის პრიზები) საგარეჯოს რაიონისა და თბილისის „ბურევესტნიკის" ძიუდოისტებმა ოსპარეზეს. ტურნირში 19 გუნდის 400-მდე ფალავანი მონაწილეობდა. საგარეჯოელებმა (მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბიჭიკო მარიდაშვილი და ტარიელ სუხაშვილი) გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს, მძიმე წონაში უძლიერესი იყო მ. მარიდაშვილი (საგარეჯო), მეორე ადგილებზე გავიდნენ გ. თაკვარელია (მძიმე წონა, თბილისი) და კ. თათრიშვილი, მესამეზე — გ. მეკოკიშვილი (40 კგ), ო. კირაკოზაშვილი (45, სამივე — საგარეჯო), ზ. შერვაშიძე (57, თბილისი), გ. კირაკოზაშვილი (62, საგარეჯო), ნ. კბილცეცხლაშვილი (62, თბილისი) და ი. ჭილაძე (83, საგარეჯო).

პარიზი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში ანდრეი ჩესნოკოვმა რიკი ოსტერტუნი (გდრ) დაამარცხა — 6:2, 6:3, 6:2 და მესამე წრეში გავიდა, სადაც ამ ტურნირის შარშანდელ ჩემპიონს მათს ვილანდერს (შვეიცია) შეხვდება. ქალთა წყვილების სტარტზე სვეტლანა პარხომენკომ და ლარისა სავჩენკომ კატერინ ლინკვისტსა (შვეიცია) და ჟოან რასელს (აშშ) აჯობეს.

მხიარული სტრიქონები

მოხერხებული მოცურავე

დათოს სურდა მდინარეზე
წაპყოლოდა გიგის,
მაგრამ დედამ საბანაოდ
არ გაუშვა იგი:
— მუცლის ტკივილს უჩივი და
წყალში ჩახვლას ბედავ?
— არა უშავს, მარტო ზურგზე
ვიცურავებ, დედა.

ლომსაც დაეჭიდება

მინდა ყველას გიამბოთ:
უწინ ჩემი ძამია
ხშირად ავადმყოფობდა,
სუსტი იყო ძალიან.
ახლა ისე გაკაუდა
ცნობა გაგიჭირდება,
მიხი ღონის პატრონი
ლომსაც დაეჭიდება.
აგრე მკვრივი კუნთები
იცით, რისი მადლია?
უპირველეს ყოვლისა,
დგება დილაადრიან.
დილის ვარჯიშს ეზოში
ბარე ოც წუთს უნდება.
მერე გამხნევებული
ისევ შინ რომ ბრუნდება,
მადიანად საუზმობს,
ხვეწნა აღარ სჭირდება;
ახლა სწავლაც და გარჯაც
უფრო უადვილდება.

ზოთა ამირანაშვილი.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 1 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.20 (1)**; საერთაშორისო შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში — **21.30 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — ესპანეთი — 23.00 (1).

2 ივნისი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — ესპანეთი (მეორე ტაიმი) — **10.10 (1)**; საფრანგეთი — კანადა (მეორე ტაიმი) — **10.55 (1)**; ბალტისპირეთის ქვეყნების ველოსრბოლა — **16.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: საფრანგეთი — კანადა — **19.00 (1)**; სსრ კავშირი — უნგრეთი — 23.00 (1).

საქართველოს ტელევიზია. 1 ივნისი: სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) — **18.10** (31 მაისის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი). მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — ესპანეთი — **23.00.**

2 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია — ესპანეთი — **10.10**; საფრანგეთი — კანადა — **10.55**; საფრანგეთი — კანადა — **19.00**; სსრ კავშირი — უნგრეთი — **23.00.**

საქართველოს რადიო. 1 ივნისი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **14.30**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი) — **19.00.**

„ლელოს" დღევანდელი ნომერი რვაგვერდიანია

კალეიდოსკოპი

მძლეოსანი და მოჭიდავე

დღეს იგი ევროპის ოფიციალური ჩემპიონია მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში. ასეთი წარმატებისთვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათლეტებს დიდი ხანია არ მიუღწევიათ. 25 წლის ანდრეას შრიოდერი თავის თავს ცნობილი გერმანელი ანტიფაშისტი მოჭიდავის ვერნეს ზეელენბინდერის მემკვიდრედ თვლის.

ჭიდაობაში იგი მძლეოსნობიდან მოვიდა. შრიოდერი თავდაპირველად ბადროს ტყორცნით ყოფილა გატაცებული, შერე ბირთვის კვრაზე გადავიდა. რამდენიმე გამარჯვება, როგორც მძლეოსანს, იენის ოლქის სპარტაკიადებში აქვს მოპოვებული. ჭიდაობა მოგვიანებით დაიწყო, როცა ორლამიუნდეს საშუალო სკოლაში საჭიდაო სექცია გახსნეს. 1982 წელს გდრ-ის ჩემპიონი გახდა მოზრდილთა შორის და მას შემდეგ ეს ტიტული არავისთვის დაუთმია.

სპეციალისტები ნიჭიერ ათლეტს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ნორმატივები ოლიმპიელთათვის

ამიერიდან იუგოსლავიის სპორტულ ღირსებას ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ ღირსეულთა შორის ღირსეულნი დაიცავენ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქვეყნის ფიზიკური კულტურის საბჭომ თავის მორიგ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ ბელგრადში ჩატარდა.

ბელგრადის პრესამ ეს გადაწყვეტილება ასე განმარტა: ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენ ხშირად ვაგზავნიდით საშუალო ნიჭისა და დონის სპორტსმენებს. ისინი არაფრით გამოირჩეოდნენ და, რაც მთავარია, შინ დაბრუნების შემდეგაც ვერაფერს აღწევდნენ. რა აზრი აქვს ასეთი სპორტსმენების მონაწილეობას თამაშებში? განა უმჯობესი არ არის ოლიმპიადებზე ახალგაზრდა, თუნდაც გამოუცდელი, მაგრამ კარგი პერსპექტივების მქონე სპორტსმენი გავგზავნოთ?

იუგოსლავიის სპორტის სპეციალისტებმა უკვე შეიმუშავეს ნორმატივები, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე მიმავალი ყველა სპორტსმენი ჩაბარებს.

ასამგლეამ განიხილა საკვანძო საკითხები

კოლუმბიაში ჩატარდა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის მორიგი ასამბლეა, რომელმაც რეგიონებში სპორტის ამ სახეობის განვითარების საკვანძო პრობლემები განიხილა. ასამბლეის დასასრულს გაიმართა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. კონფედერაციის პრეზიდენტად პარაგვაელი ნიკოლას ლეოსი აირჩიეს, ვიცე პრეზიდენტად მიგელ ნასური. გადაწყდა, 1987 წლის იანვარში სამხრეთ ამერიკის იუნიორთა ჩემპიონატი ჩატარდეს. ამ ტურნირს კოლუმბია უმასპინძლებს.

კიდევ ერთი ვუნდერკინდი

„მე უსათუოდ მოვიპოვებ ჭადრაკის დედოფლის გვირგვინს". ეს სიტყვები ეკუთვნის სოფიის ერთ-ერთი საშუალო სკოლის პირველკლასელ გოგონას, 6 წლის ანტუანეტა სტეფანოვას.

ბულგარეთში ამ „ვუნდერკინდს", რომელიც 4 წლის ასაკში ეზიარა ჭადრაკის სიბრძნეს, ყველა კარგად იცნობს. ანტუანეტა ახლა ოსტატობის კანდიდატია, და შემთხვევას არ უშვებს, რომ ბავშვთა რომელიმე ტურნირში არ ითამაშოს. არც ისე დიდი ხნის წინ ერთდროული თამაშის სიანსში იგი თვით მიხეილ ტალსა და ნონა გაფრინდაშვილს შეხვდა და ორივე პარტია ფრედ დაამთავრა.

ანტუანეტას შემდგომ დაოსტატებაზე ცნობილი ბულგარელი მოჭადრაკეები ზრუნავენ.



კალეიდოსკოპი

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07502

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.